MES 4 21 0001238426

17/11/2021

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრ ები :

1. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ქეთევან ბოტკოველი -** სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის პედაგოგი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
4. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ **-** ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
5. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
6. **პერტე ბაბილუა -** შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
7. **ლიანა კობესაშვილი -** შპს „ინტელექტი XXI - ის“ მასწავლებელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
8. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

9. **რევაზაფხაზავა** - კოალიციის განათლება ყველასათვის - საქართველო პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი, გამგეობის წევრი, ა(ა)იპ - განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი.
10. **ეკატერინე კვირიკაშვილი -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
11. **ზვიად გოგუაძე -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი

სკოლის წარმომადგენელი - ბარბარა ჯიმელი სულაშვილი
სკოლის წარმომადგენელი - თეა როგავა
სკოლის წარმომადგენელი - მაია ღვინჯილია
სკოლის იურისტი - თინათინ ქანთარია

შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულია კადემია
დირექტორის მოადგილე - მაია დუდაური
დირექტორის კონსულტანტი - ნატო ზარნაძე

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

ა(ა)იპ - ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი

ვერა ყურულაშვილი
მაკა ჭიაბერაშვილი

შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემია

მაკა ჭიაბერაშვილი
ცირა ნიკოლაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2021 წლის 3 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ - ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ვერა ყურულაშვილმა და მაკა ჭიაბერაშვილმა. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ - ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისში ვიზიტი განხორციელდა ერთი დღე ადგილზე მისვლით, ხოლო მეორე დღეს დისტანციურ ფორმატში. მისი განმარტებით, სკოლას მიეცა ვიზიტის პერიოდში გარკვეული სახის რეკომენდაციები, რომლებიც სკოლამ ნაწილობრივ შეასრულა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საინტერესო იყო ვალდორფის პედაგოგიკის სწავლების მიდგომის გაცნობა, მაგრამ იმ მასალებით რაც იქნა მიწოდებული სკოლის მხრიდან, არ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დაწესებულება შეძლებდა მიეღწია იმ შედეგებისთვის, რაც იყო გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით დაწყებითი საფეხურისთვის. მან აღნიშნა, რომ განსხვავებული მიდგომა იყო და მსჯელობასაც განსხვავებულს მოითხოვდა. მისი განმარტებით, ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპების გათვალისწინებით სკოლას ჰქონდა სხვადასხვა ტიპის გაკვეთილები, სკოლაში იყო 45 წუთიანი გაკვეთილებიც და ეპოქალური გაკვეთილებიც. ექსპერტის განცხადებით, როდესაც ვიზიტი განხორციელდა სკოლაში, დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ პირველი კლასის ცხრილი. ექსპერტთა ჯგუფს სურდა გაცნობოდა პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით ცხრილს, რადგან საფეხური განსაზღვრული იყო მეექვსე კლასის ჩათვლით. ექსპერტის განმარტებით, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ფორმით შედგენილი ცხრილი, ამასთან, სკოლას ჰქონდა არა ერთი კლასის მიზნები მისაღწევი, არამედ საფეხურის და ექსპერტები დაინტერესდნენ, თუ როგორ მოახერხებდა სკოლა აღნიშნულის განხორციელებას ეპოქალური გაკვეთილების დროს, რადგან ეპოქალური გაკვეთილები არ ტარდებოდა ყველა საგანში.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ მიმართა ექსპერტებს კითხვით, ეპოქალურ საგნებში, მაგალითად მათემატიკა, როგორ შედიოდა და რა კავშირში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გადიოდა თუ არა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე.
ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტთა ჯგუფს, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი საგნები იყო თუ არა ძირითად ცხრილში მოცემული.

ექსპერტ, მაკა ჭიაბერაშვილის განმარტებით, დაწესებულების ერთი სასწავლო დღე იყოფოდა სამ ნაწილად, პირველი იყო რიტმიკა, მეორე ეპოქის და მესამე შემაჯამებელი გაკვეთილი. მისი თქმით, პირველ და მეორე ნაწილში ყველა საგანი შედიოდა, ხოლო ეპოქალურ გაკვეთილთან დაკავშირებით, სკოლამ ვიზიტის პერიოდში განმარტა, რომ ეპოქის გაკვეთილი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი საკვანძო გაკვეთილი დღის განმავლობაში, რომელიც ისწავლებოდა გაღრმავებულად. ექსპერტის თქმით, ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, რომ აღნიშნული ეპოქის გაკვეთილი ხომ არ იყო უპირატეს მდგომარეობაში. ასევე, ექსპერტები დაინტერესდნენ საგნების შინაარსით. მისი განმარტებით, როდესაც საგნობრივი პროგრამების შემოწმება დაიწყო ექსპერტთა ჯგუფმა, მათ ნახეს მისაღწევი შედეგები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან იყო თანხვედრაში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, განმარტა რომ სკოლა იყო კერძო და ჰქონდა თავისი მსოფლმხედველობა, თუ როგორ მოეწყო სასწავლო პროცესი, როგორ დაეგეგმა დღის წესრიგი და ა.შ. მისი მოსაზრებით, გამოიკვეთა ორი მიმართულება, პირველი სკოლას უნდა შეეთანხმებინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საათობრივი ბადის მესამე თაობის მოდელი და დაწესებულება თავისუფლად შეძლებდა თავისი მოსაზრებების დაფიქსირებას და მეორე რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს იყო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. მისი განმარტებით, ან უნდა ყოფილიყო დამატებითი მომსახურება და ამ მომსახურების დროს, როგორი ტიპის სერვისს გაწევდა სკოლა, აღნიშნული მისი გადასაწყვეტი არ იყო და თუ დამატებითი მომსახურება არ იყო, მაშინ რატომ არ ჰქონდა სკოლას ნაფიქრი სამინისტროსთან შეთანხმებაზე საათობრივი ბადის მესამე თაობის მოდელთან დაკავშრებით.
აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა საბჭოს წევრი, მაკა მამფორიაც.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ექსპერტთა ჯგუფთან, ჰქონდა თუ არა სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული განსხვავებული სასკოლო სასწავლო გეგმა. ექსპერტთა განცხადებით, აღნიშნულზე ნებართვა დაწესებულებას არ ჰქონია.
საბჭოს წევრის, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, ვალდორფის სკოლა, რომელიც უკვე არსებობდა საგანმანათლებლო სივრცეში, აღნიშნულ განსხვავებულ სწავლებასთან დაკავშირებით სამინისტროდან ჰქონდა ნებართვა.

ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა ისაუბრა იმ რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც მიეცა სკოლას. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად სკოლის გამგეობამ 2021 წლის 31 აგვისტოს მიიღო „სკოლაში უსაფრთხოების დ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. ექსპერტის განცხადებით, სკოლის შემუშავებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ ნ ბრძანებას, არ იყო შეთანხმებული სამინისტროსთან.
მისი განმარტებით, სკოლის შენობაში არ იყო სამედიცინო ოთახი. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ორივე სართულზე განლაგებული იყო სამედიცინო ყუთები შესაბამისი აღჭურვილობით. ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად ვიზიტის პერიოდში სკოლაში მოეწყო სამედიცინო კუთხე სკოლის პირველ სართულზე გასახდელის მიმდებარედ. მისი თქმით, სკოლას არ ჰყავდა შესაბამისი სამედიცინო პერსონალი, ასევე, პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმი შემუშავებულ იქნა 2021 წლის 31 აგვისტოს მიღებულ უსაფრთხოების წესში. ექსპერტის განმარტებით, საიზოლაციო ოთახი განლაგებული იყო შენობის მეორე სართულზე ცალკე შესასვლელის მქონე ოთახში, რაც გარკვეულ სირთულეებს შექმნიდა შეუძლოდ მყოფი პირის განთავსების დროს. ექსპერტის განცხადებით, სკოლის ვებ-გვერდი ვერ ასრულებდა საინფორმაციო დ საკომუნიკაციო ფუნქციას.

საბჭოს წევრის, ზვიად გოგუაძის განცხადებით, სკოლის მისიაში და შემდგომ სწავლა-სწავლების პროცესის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტაციაში რამდენჯერმე იყო ნახსენები ვალდორფის პედაგოგიკის მეთოდები რასაც ის იყენებდა სასწავლო პროცესში. მისი თქმით, სამ ციკლად იყოფა აღნიშნული 0-7, 7-14, 14-21. მან მიმართა სკოლის წარმომადგენლებს კითხვით, როგორი ხედვა ჰქონდათ ამ მიმართულებით და თუ აპირებდნენ შემდეგ საფეხურების დამატებას. საბჭოს წევრი ასევე, დაინტერესდა როგორ ეხმარებოდა სკოლა მოსწავლეებს იმ მიზნების მიღწევაში, რაც დასახული ჰქონდა ამ მეთოდოლოგიით.

სკოლის წარმომადგენლმა განმარტა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების და შინაარსის დაფარვას დაწყებითი საფეხურის ფარგლებში. მისი თქმით, არსებობდა საგნები რომლებიც განსაკუთრებულ გაღრმავებას და მშვიდად გააზრებას მოითხოვდა, ამისთვის იყო საჭირო ეპოქის გაკვეთილები. მისი განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ჰქონდათ 37 სასწავლო კვირა და საათების რაოდენობა ზუსტად იფარებოდა. ნაწილი ქართულის საათები იყო ყოველდღე და ნაწილი გადიოდა ეპოქის გაკვეთილებში და რაოდენობა არ იცვლებოდა. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში, რომელშიც წარმოდგენილი იყო პროგრამები, ისინი გადიოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა შედეგზე, მიზანზე და სტანდარტის მოთხოვნებს პასუხობდა. მისი განცხადებით, განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ სწავლების მეთოდიკაში. მისი თქმით, საერთაშორისოდ აღიარებული ვალდორფის სკოლის დაწყებითი საფეხურის პროგრამა, მიზნები და შედეგები სრულ თანხვედრაში იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილ შედეგებთან. აქედან გამომდინარე, ის არ საჭიროებდა არც მოდიფიცირებას და არც სამინისტროსთან დამატებით შეთანხმებას.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა პირადი საქმეები, რომლებიც ნაწილობრივ შეესაბამებოდა არსებულ კანონმდებლობას, 14 მასწავლებლიდან მხოლოდ 1 მასწავლებელს ჰქონდა მინიჭებული უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ექსპერტის თქმით, პირადი საქმეების დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ მასწავლებელს ჩაბარებული ჰქონდა საგნის გამოცდა, მაგრამ დიპლომის მიხედვით არ ჰქონდა მასწავლებლის კვალიფიკაცია და არც სამოცკრედიტიანი პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი იძებნებოდა. მისი თქმით, მასწავლებელი დარეგისტრირებული იყო გამოცდაზე, თუმცა ვიზიტის დროს არ არსებობდა შედეგის დამადასტურებელი დოკუმენტი. 1 მასწავლებელს არც მასწავლებლის კვალიფიკაცია ჰქონდა და არც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული. ექსპერტის განმარტებით, სკოლა გეგმავდა ჩართვას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში.

მასწავლებელთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა სკოლის წარმომადგენელმა. მისი თქმით, ვალდორფის სკოლას ჰქონდა ინდივიდუალური სქემა, ამ სქემის ფარგლებში ყველა მასწავლებელს ჰქონდა სტატუსი. აღნიშნული მასწავლებლები არ იყვნენ აღრიცხული მთლიან საერთო ბაზაში. მისი განმარტებით, ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი მთლიანად ჩაერთვებოდა მასწავლებელთა გადამზადების სქემაში და ავტორიზაციის გავლიდან ორი თვის ვადაში ყველა მასწავლებელი დარეგისტრირდებოდა გამოცდაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით სკოლის წარმომადგენელს, თუ როგორი წესით მოხდა მასწავლებელთა შერჩევა.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ კვალიფიკაციით და პირდაპირი შეთავაზების წესით. მისი განმარტებით, სკოლას სურვილი ჰქონდა მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრის ბაზაზე ვაკანსიის გამოცხადების, მაგრამ აღნიშნულს ვერ შეძლებდა დაწესებულება, გამომდინარე იქიდან რომ არ იყო ჯერჯერობით ავტორიზებული. დაწესებულებას შეეძლო ასევე სხვა ვებ გვერდებზე გამოეცხადებინა კონკურსი, თუმცა აღნიშნულით არ უსარგებლია. მასწავლებელთა შერჩევისას სკოლისთვის ძირითადი წამყვანი ამ შემთხვევაში იყო ვალდორფის პედაგოგიკის სემინარის ან ვალდორფის სკოლაში მუშაობის გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, სკოლას ჰქონდა შესაძლებლობა, რასაც საბჭოს განხილვაზე საუბრობდნენ აესახათ შესაბამის მარეგულირებელ წესში და კონკურსიც გამოეცხადებინათ. მისი თქმით ექსპერტებმა ვერ ნახეს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუ რა კრიტერიუმებით და საფუძვლით ჰყავდა სკოლას მასწავლებლები შერჩეული.
საბჭოს წევრმა, ლიანა კობესაშვილმა მიმართა კითხვით სკოლის წარმომადგენელს. მისი თქმით, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ერთი მასწავლებელი ასწავლიდა რამდენიმე საგანს. როგორ ხდებოდა აღნიშნული მე-V, მე-VI კლასების შემთხვევაში, მასწავლებლები როგორ ახერხებდნენ სწავლებას.
სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში ასწავლიდა მასწავლებელი რამდენიმე საგანს, თუ მას დაუდასტურდებოდა კომპეტენცია და ჩააბარებდა რამდენიმე საგნის გამოცდას.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ბოტკოველმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს კითხვით, ჰქონდათ თუ არა კავშირი არსებულ ვალდორფის სკოლასთან.
სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, პირველივე წუთიდან სკოლა თანამშრომლობდა არსებულ ვალდორფის სკოლასთან, იმავე სივრცეში დაიბადა ახალი სკოლის შექმნის იდეა, დიდი მოთხოვნის გამო. დაწესებულების სახელწოდებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სახელწოდების განმეორება იყო შესაძლებელი და აღნიშნული იყო შეთანხმებული როგორც არსებულ ვალდორფის სკოლასთან ისე საერთაშორისო ვალფორფის კავშირთანაც. მისი თქმით, ექსპერტთა ვიზიტამდე ორი კვირით ადრე სკოლას სტუმრობდა ვალდორფის საერთაშორისო ორგანიზაციის დირექტორი, ასევე, აღმოსავლეთ ევროპის ვალდორფის სკოლების საერთაშორისო კავშირის საქმეთა მმართველი მივიდოდა სკოლაში ავტორიზაციის გავლის შემდგომ და მაძიებლობის სტატუსსაც მიანიჭებდა დაწესებულებას. წარმომადგენლის განცხადებით, სკოლას ჰქონდა შესაძლებლობა არ ყოფილიყო ავტორიზებული და მხოლოდ ვალდორფის ორგანიზაციის სტატუსი მოპოვებინათ, თუმცა მათთვის მნიშვნელოვანი იყო მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, მათი აზრით, ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი იყო განათლების სისტემა ყოფილიყო მრავალფეროვანი.
საბჭოს წევრის, ეკატერინე კვირიკაშვილის განცხადებით, სკოლა როდესაც საუბრობდა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისობის საკითხზე, მნიშვნელოვანი იყო იმის აღნიშვნა, რომ ჯამურ საათობრივ რაოდენობას ის ვერ ფარავდა. მისი თქმით, ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის მიხედვით წლიური საათების ჯამური ცვლილების უფლება სკოლას, თუნდაც კერძო ყოფილიყო არ ჰქონდა. თუ სკოლას სურდა განსხვავებული საათობრივი დატვირთვა ჰქონოდა, ამისათვის არსებობდა მესამე თაობის მოდელი. მისი განმარტებით, თუ სკოლას სურდა ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება უნდა დაეკმაყოფილებინა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. ასევე, მატერიალურ რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით, როდესაც ექსპერტები მივიდნენ სკოლაში, დაწესებულება მზად უნდა ყოფილიყო სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადასტურებლად.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:50 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები, ხომ არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით საბჭოს შეფასებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა საჭიროებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებას. საბჭოს შუამდგომლობა იყო სკოლასთან მიემართა სკოლას

აღნიშნულის თაობაზე სამინისტროსთვის და წარმოედგინა მათი პოზიცია დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმასთან მიმართებით, მათ შორის საათობრივ ბადესთან და სასკოლო პროგრამების შეთანხმებასთან დაკავშირებით. ასევე, სკოლის უსაფრთხოების მარეგულირებელ დოკუმენტთან დაკავშირებითაც.
აღნიშნულის შესაბამისად, საბჭოს მიერ ცენტრის წინაშე დაყენებულ იქნა შუამდგომლობა სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადის გათვალისწინებით. ასევე, ცენტრისადმი წარდგენილ იქნა შუამდგომლობა, უშუალოდ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საკითხის მომდევნო განხილვაში მონაწილეობა მიეღო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს და წარმოედგინა მისი პოზიცია.
ცენტრის წარმომადგენლებმა გაიზიარეს საბჭოს მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობები.

2. შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორი ნგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ჭიაბერაშვილმა ცირა ნიკოლაშვილმა. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტ, მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა ამა წლის 16 და 17 სექტემბერს დისტანციურ ფორმატში. ექსპერტთა შეფასების საგანს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადამიანური რესურსის სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემოწმება.

მონიტორინგის განხორციელების საფუძველთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ცენტრისთვის ცნობილი გახდა, რომ დაწესებულების სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებული იყო სარეკლამო შინაარსის განცხადება, რომელიც დაინტერესებულ პირებს თავაზობდა სკოლის ატესტატის მიღებას და პარალელურად 12 მიმართულებით სხვადასხვა

სპეციალობის დაუფლებას და შემდგომში დასაქმებაში ხელშეწყობას. სკოლა ახორციელებდა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას და დაწესებულებას მხოლოდ მილევად რეჟიმში, ახალი პროფესიული სტუდენტების მიღების გარეშე, ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამების: „ბუღალტერი“, „ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)“, „ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი“ და „კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)“ განხორციელების უფლება. აღნიშნული საკიტხის შესწავლისას დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა პოზიცია, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ახორციელებდა მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას და აღარ ჰყავდა პროფესიული სტუდენტები და შესაბამისად, აღარც საგნობრივ პროგრამებს ახორციელებდა. სოციალურ ქსელში განთავსებულ სარეკლამო განცხადებასთან დაკავშირებით, სკოლამ განმარტავდა, რომ აღნიშნული განცხადება განკუთვნილი იყო მხოლოდ სკოლის მოსწავლეებისთვის და შეთავაზებული იყო როგორც დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. განცხადებაში დაფიქსირებულ სპეციალობებს ის მიმდინარე სასწავლო წლიდან თავაზობდა თავის მოსწავლეებს კურსების სახით და გაითვალისწინებდა 2021-22 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. კურსებზე ჩარიცხულ მოსწავლეებზე მოხდებოდა შემდგომში შესაბამისი სერტიფიკატის გაცემა. გამომდინარე
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს ცვლილების/ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული საგნობრივი პროგრამ(ებ)ის შესახებ, განხორციელებამდე 30 კალენდარული დღით ადრე; წარუდგინოს საგანმანათლებლო პროგრამა/ცვლილებების განხორციელების შესახებ გამოცემული აქტი“. აღნიშნულის საფუძველზე სკოლას ცენტრისთვის უნდა ეცნობებინა განხორციელებული ცვლილებების შესახებ. შესაბამისად, ცენტრის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაწესებულების არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ, რათა განხორციელებულიყო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შემოწმება პროგრამული და შესაბამისი ადამიანური რესურსის სტანდარტების შესრულების შემოწმების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასების შედეგად, დარღვეული იყო ორივე სტანდარტის მოთხოვნები, კერძოდ, 1.6 სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის შემუშავების საკითხი და 3.1, 3.2, 3.5 სტანდარტის მოთხოვნები.
ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ წარმოადგინა ერთ გვერდიანი დოკუმენტი სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის შესახებ, რომელიც არ ასახავდა ამ მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს, არ იყო აღნიშნულ ქვესტანდარტში წარმოდგენილი გატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია. მისი განცხადებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შექმნილიყო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი განვითარების მექანიზმი, რომელშიც გაიწერებოდა სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი, განხორციელების პერიოდები და პასუხისმგებელი პირი/პირები. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის შემდგომ, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა რიგი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაცია უფრო მეტად ატარებდა მასწავლებლების მონიტორინგის შინაარსს, ნაკლებ ჩანდა დოკუმენტში, რას აკეთებდა სკოლას ადამიანური რესურსების განვითარებისთვის.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლების პირადი საქმეები არ მოიცავდა ნასამართლეობის ცნობას და ცნობას „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის“ ნასამართლეობის შესახებ. ზოგიერთ პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი პირადობის მოწმობის ასლი და/ან ფოტოსურათი, ზოგიერთი თანამშრომლის პირად საქმეში არ იდო პირადი განცხადება

სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, 11 მასწავლებლიდან უფროსი მასწავლებლის სტატუსი ჰქონდა 5 მასწავლებელს, 2 მასწავლებელს პრაქტიკოსის. სკოლის ინფორმაციით პრაქტიკოსი მასწავლებლები გავიდნენ გამოცდაზე და დაადასტურეს საგნობრივი კომპეტენცია, თუმცა ვიზიტის განმავლობაში არ წარმოუდგენიათ დამადასტურებელი რაიმე სახის მასალა. ექსპერტის განცხადებით, 4 მასწავლებელი არ იყო ჩართული სქემაში, მათ არ ჰქონდათ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია, შესაბამისად ისინი არ იყვნენ შერჩეულნი ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.
ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებაზე, რაც წარმოდგენილი იყო ფაკულტატური სახით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გაწერილი იყო აღნიშნული წრეების პროგრამები, მიმდინარე წლის 4 ოქტომბრიდან სკოლა აპირებდა ამ პროგრამების დაწყებას, ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა დაწყებული წრეების ფუნქციონირება. ექსპერტის განცხადებით, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ იძლეოდა იმის დადასტურების საფუძველს, თუ როგორ შეძლებდა დაწესებულება აღნიშნულის სწავლებას. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ ვიზიტის დროს განაცხადა, რომ როგორც კი წრე დაიწყებდა ფუნქციონირებას, აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მათ ექნებოდათ.
ექსპერტის განცხადებით, სკოლის საინფორმაციო ბაზის თანახმად სკოლაში ირიცხებოდა 58 მოსწავლე, მათგან 20 მოსწავლე იყო ზრდასრული (1980 - 2000 წლამდე პერიოდში დაბადებული პირები).

საბჭოს წევრმა, ლიანა კობესაშვილმა მიმართა დაწესებულებას კითხვით, რომ აღნიშნული დამატებითი მომსახურება იყო მხოლოდ სკოლაში არსებული ბენეფიციარებისთვის, თუ ზოგადად ნებისმიერი მსურველისთვის, ასევე, რამდენად იყო დაცული სკოლაში მყოფი მოსწავლეების უსაფრთხოება, მაგალითად კრიმინალისტიკის შესწავლის დროს. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით მხოლოდ მოსწავლეებს თავაზობდნენ ამ წრეებს და ყველა პირობა დაცული იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, პრობლემას წარმოადგენდა რეკლამა, რომელიც სკოლას ჰქონდა გაკეთებული, კონკრეტულ პროფესიულ პროგრამებზე. მისი თქმით, დასაზუსტებელი იყო სკოლაში შემოსული ადამიანი რა დაპირებას მიიღებდა სკოლიდან, ერთდროულად მიეცემოდა მას საშუალება დაემთავრებინა საშუალო სკოლა და ასევე პროფესიული პროგრამის დიპლომს მიიღებდა, თუ ასეთ პირობას თავაზობდა სკოლა, მას ასეთი უფლებამოსილება არ ჰქონდა. ამასთან, სარეკლამო განცხადება შეცდომაში შემყვანი იყო.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, 2020 წლის სექტემბერში დასრულდა ავტორიზებული საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და ამ ეტაპზე დაწესებულებას აღარ ჰყავდა პროფესიული სტუდენტები. მისი თქმით, სკოლამ ორჯერ გაიარა ავტორიზაცია, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ, ასევე სკოლამ დაიმატა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და შემოწმდა ყველა სტანდარტის მიხედვით. მისი განმარტებით, მილევად რეჟიმში პროგრამები ხორციელდებოდა ერთი წლის უკან, იმიტომ რომ საგნობრივი პროგრამების ვადები იყო ამოწურული, სტანდარტების და კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული უნდა დასრულებულიყო კონკრეტულ ვადამდე და სკოლამ დაასრულა საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. წრეებთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ სურდა დაეკარგა ის ტრადიცია, რომელიც ჰქონდა ამ პროფესიებთან დაკავშირებით მიღებული. მისი განცხადებით, კრიმინალისტიკა, კომპიუტერული გრაფიკა და ბუღალტერია იყო ის სპეციალობები, რომლებიც სკოლა ასწავლიდა წრეების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს კითხვით, რომ 1980 წელს დაბადებული ადამიანები, რა საფუძვლით დადიოდნენ სკოლაში და რამდენად იყო სკოლის მოსწავლეების უსაფრთხოება დაცული. ამასთან, დაწესებულების დანაპირები ატესტატთან ერთად სპეციალობის დაუფლების თაობაზე, როგორ ფასდებოდა სამართლებრივად.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში პროფესიული პროგრამები არ ხორციელდებოდა და დამატებითი მომსახურების სახით თავაზობდა ის დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა წრეებს. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში ირიცხებოდა 7 ზრდასრული მოსწავლე, რომლებიც იყვნენ IX კლას დამთავრებულები და ჩარიცხულები იყვნენ მე-X კლასში. მისი განმარტებით, სკოლაში ჩარიცხვა ხდებოდა ბოლო კლასის შეფასების საფუძველზე. დაწესებულება იმ პირებს, რომლებსაც არ ჰქონდათ სრული ზოგადი განათლების ატესტატი მიღებული და ამის გამო ხელი ეშლებოდათ შემდგომ დასაქმებაში და კარიერულ წინსვლაში აძლევდა ატესტატის მიღების შესაძლებლობას.

საბჭოს წევრის ზვიად გოგუაძის განცხადებით, სკოლა ცალსახად ეწინააღმდეგებოდა წრეების ფუნქციონირების არსს, თავისთავში რასაც მოიცავდა, წრეები უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის და შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის მოსწავლეებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, აღნიშნული 59 მოსწავლიდან ასაკობრივად ზრდასრული რამდენი იყო.
ექსპერტ ცირა ნიკოლაშვილის განცხადებით, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის მიხედვით ჩარიცხული მოსწავლეები ექსპერტებმა კარგად შეისწავლეს და მათი დაბადების თარიღებიც, აღმოჩნდა, რომ 18 წლამდე ასაკის 20 პირი ირიცხებოდა ვიზიტის დროს სკოლაში. ექსპერტები დაინტერესდნენ სკოლაში კლასების რაოდენობითაც. სკოლაში ფუნქციონირებდა სამი კლასი, რადგან ასაკობრივი მრავალფეროვნება იყო დაწესებულებაში, ექსპერტები დაინტერესდნენ სკოლა იყენებდა თუ არა ალტერნატიულ შესაძლებლობებს ასაკობრივ თავისებურებების გათვალისწინებით. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ განაცხადა რომ ყველა ერთად სწავლობდა და არ იყო ალტერნატიული შეთავაზება.
საბჭოს წევრების შეფასებით, დაცული არ იყო მოსწავლეთა ასაკობრივი კატეგორიის მოთხოვნები სწავლებისა და მათი უსაფრთხოების თვალსაზრისით.
ექსპერტის განცხადებით, რეკლამაში, რომელიც გახდა მონიტორინგის საფუძველი არსებობდა ასეთი ჩანაწერი, რომ ექსტერნად, უმოკლეს ვადაში დაამთავრებდნენ პირები მე-X, მე-XI და მე-XII კლასს და გასცემდა ატესტატს და ისინი შეუზღუდავად მიიღებდნენ ნებისმიერ სპეციალობაზე.
სკოლამ დააფიქსირა პოზიცია, რომ წრეები, რომლებიც არსებობდა სკოლაში მხოლოდ იყო მათი სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი და არანაირ დაპირებებს იძლეოდა დაწესებულება, რაც კანონს შეეწინააღმდეგებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები, ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:30 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:55 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭოს ზეპირ განხილვაზე გამოვლენილი გარემოებებისა და ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საფუძველზე გამოიკვეთა დაწესებულების ფუნქციონირების რიგი ხარვეზები და საბჭომ მიიღო

გადაწყვეტილება, რომ ხარვეზების აღმოფხვრისთვის სკოლას განესაზღვროს 2 კვირის ვადა, გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოსადგენად. ამასთან, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში განხორციელებულიყო მონიტორინგი და დაწესებულება შეფასებულიყო სამივე სტანდარტის მიხედვით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა დააფიქსირა განსხვავებული პოზიცია. მისი თქმით, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებები მისთვის იყო არასაკმარისი და ბუნდოვანი. ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნა, წარმოდგენილი მტკიცებულებები და საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებები იყო საფუძველი სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმების.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 19:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოტკოველი ქეთევან